F75/2 J13915

მრომელთა ერთა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 47 (5447) | ორშაბათი, 27 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

გუშინ თბილისში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა.

ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები და დაამტკიცა დღის წესრიგი.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ხალხთა გენიალური ბელადის მშობლიური სტალინისადმი.

ყრილობამ დიდი გულთბილობით ერთსულოვნად მიიღო მისალმება სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას სახელზე.



მოსკოვი

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა თავისი მხურვალე სიყვარულისა და მადლობის გრძნობებით და მგზნებარე მისალმების სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, **ლენინ-სტალინის** პარტიის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ მამას, ჩვენს აღმზრდელსა და მასწავლებელს!

ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, სკპ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მზადების ისტორიულ დღეებში იწყებს თავის მუშაობას საქართველოს ბოლშევიკების XII ყრილობა.

ჩატარებული რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტები—თეზისები, ამხანაგების **მოლოტოვის** და **ჟდანოვის** მოხსენებებისა სკპ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე — გადაიქცნენ ძლევამოსილ დემონსტრაციად საქართველოს ბოლშევიკების ურღვევი დარაზმულობისა სკპ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, მშობლიური **სტალინის** გარშემო.

თეზისები მოხსენებებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და სკპ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ გამსჭვალულია სტალინური ზრუნვით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განტკიცებისათვის, სტალინური ზრუნვით ადამიანებზე, კადრებზე, ჩვენი უძლეველი ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციულ ძლიერებაზე.

ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტები ჩვენს გულს ავსებენ უდიდესი სიხარულით, სიამაყით, იმის სურვილით, რომ კიდევ უფრო მეტი ენტუზიაზმით მოვახმაროთ მთელი ძალღონე კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, აგებულია სოციალიზმის დიდებული შენობა, რომელიც კაშკაშა შუქურასავით ალმართულია მსოფლიოში ყველა ჩაგრულთათვის; საბჭოების ქვეყანა შეიქნა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ეს დიადი შედეგია სოციალიზმის გამარჯვებებისა, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა ხალხის მიერ, **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით, ხალხის მტრების, ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი, ბურჟუაზიულ - ნაციონალისტი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

სოციალიზმის დიადი ქვეყნის მთელი მრავალეროვანი ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება რა საკ. კ. პ. (ბ). ისტორიული XVIII ყრილობისათვის, შესანიშნავი საქმეებით, საწარმოო გაბარჯვებებით კვლავ და კვლავ გამოხატავს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი თავისი მხურვალე სიყვარულისა და ნდობის გრძნობებს.

მთელი პარტია, მთელი ხალხი ელიან იმ ისტორიულ დღეს, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმის **სტალინის** ბრძნული სიტყვები, რომლებიც შეგვიიარაღებენ ჩვენ, შეაიარაღებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთ საბრძოლო პროგრამით შემდგომი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა ციხესიმაგრეებად.

გვახსოვს რა თქვენი მითითებანი რევოლუციური სიფხიზლის შესახებ, ჩვენ ულმობელად აღმოვფხვრით ხალხის განადგურებული მტრების საზიზღარ ნაბოლარებს, ჩვენ შემდგომაც ფხიზლად ვიდგომებით სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე, რომლებიც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში.

შეიარაღებულნი ისეთი მძლავრი იდეური იარაღით, როგორიც არის პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო, ჩვენ მთელი შეურიგებლობით დავიცავთ ჩვენი პარტიის ლენინურ - სტალინურ ტრადიციებს, განვამტკიცებთ პარტიის რიგებს, ჩავაბამთ რა მასში საუკეთესო, შემოწმებულ, **ლენინ-სტალინის** საქმისადმი ერთგულ ადამიანებს მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის რიგებიდან.

ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკები, ვამაყობთ იმით, რომ აღზრდილნი ვართ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე, ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ჩვენი პარტიის ერთერთ უძველეს ბოლშევიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, გამოზრდილი და გამოწრთობილია დიდი **სტალინის** მიერ.

ეს ავალებს საქართველოს ბოლშევიკებს წმინდად დაიცვან სახელოვანი სტალინური ტრადიციები, დაუღალავად განმტკიცონ პარტიული ორგანიზაციების ძლიერება და ბრძოლისუნარიანობა, იყვნენ შეურიგებელნი მტრისადმი, იყვნენ თავდადებული, უშიშარი, შეუდრეკელი მებრძოლნი კომუნიზმისათვის, მაღლა ეჭიროთ სტალინური ბოლშევიკური პარტიულობის დიადი დროშა.

საქართველოს ბოლშევიკებისათვის მთელი მათი სიცოცხლის, ბრძოლისა და მუშაობის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს დიდი **სტალინის** ნებისყოფის შესრულება, ჩვენი მშობლიური **სტალინის,** ჩვენი დიადი პარტიის, მისი ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყოველი მითითების შესრულება.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ საყვარელ **სტალინს!**

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი— ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს!

ხელმძღვანელობდით რა მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), თქვენ შთაუნერგეთ პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის სტალინური სტილი და უზრუნველჰყავით სოციალისტური ორდენოსანი საქართველოს უაღრესად სწრაფი აღმავლობა და აყვავება.

თქვენ შთამაგონებლად და წარმტაცად გადაუშალეთ მთელ ჩვენს პარტიას სახელოვანი წარსული საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, რომელთა მთელი ისტორია მათი ჩასაბუდის დღიდან განუყრელად დაკავშირებულია დიდი **სტალინის** სახელთან.

დაუღალავად იცავდით და პარტიული რიგების სიწმინდეს, ზრდიდით და მათ სტალინური შეტევითი სიფხიზლის სულისკვეთებით, თქვენ გვასწავლეთ ხალხის დაუძინებელი მტრების ოინების გამოცნობა. თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ულმობელად გაანადგურეს ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტები.

ჩვენს უდიდეს წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმ ბოლშევიკურ სიმტკიცესა და გულისხმიერებას, რომლითაც თქვენ ყოველდღიურად გვზრდიდით პირადი მაგალითით და გვრაზმავდით დიდი **სტალინის** ნებისყოფისა და მითითებათა განხორციელებისათვის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

კონკრეტული და ოპერატიული მუშაობისა და ხელმძღვანელობის სტალინური მეთოდების ამ სკოლამ მარჯალი პარტიული პრინციპულობის მაგალითებზე აღზარდა სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრები, უსაზღვროდ ერთგულნი პარტიისადმი, მისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.**

სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებანი საქართველოში მიღწეულია შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე, რომელსაც თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხთა ძმური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის მებრძოლი პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ.

საქართველოს ბოლშევიკები — საკ. კ. პ. (ბ) მონოლიტური რაზმი —თავის XII ყრილობაზე წარსდგებენ შემჭიდროებული რიგებით, მაღლა უჭირავთ რა **ლენინ-სტალინის** მძლავრი, უძლეველი დროშა, მზად არიან რა შეასრულონ პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის, მშობლიური და საყვარელი **სტალინის** ყოველი მითითება.

ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტები — ამხანაგების **მოლოტოვისა** და **ჟდანოვის** მოხსენებათა თეზისები, — რომლებიც მხურვალედ და ერთსულოვნად მოწონებულ იქნა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რაიონულ და საქალაქო პარტკონფერენციებზე, გრანდიოზულ პერსპექტივებს შლიან საბჭოთა ქვეყნის წინაშე, რომელიც შეიდგა განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ამ ისტორიულ წინასაყრილობო დოკუმენტებთან დაკავშირებით უაღრესად პასუხსაგები ამოცანები ისმება ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური მრეწველობისა და აყვავებული სოფლის მეურნეობის წინაშე, საქართველოსი, რომელიც თავის უდიდეს წარმატებებს უნდა გიმადლოდეთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ამ ამოცანების შესრულებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) იბრძოლებს სტალინურად, როგორც ამას გვასწავლიდით თქვენ, და კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** გარშემო.

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მამასა და შთამაგონებელს, მშობლიურ, საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!**

გაუმარჯოს სტალინურ საბჭოს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

XII ყრილობა შეუდგა მუშაობას

გუშინ გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა. საქართველოს ბოლშევიკები თავის XII ყრილობაზე მოვიდნენ ერთსულოვნად დარაზმულნი და ფოლადისებურად შემჭიდროებულნი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ბოლშევიკთა პარტიის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა გენიალური ორგანიზატორის, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო. საქართველოს ბოლშევიკები თავის XII ყრილობაზე მოვიდნენ ერთი მისწრაფებით, ერთი სურვილით გამსჭვალულნი—უფრო უკეთესად, უფრო მეტი ენერგიით, უფრო ნაყოფიერად იმუშაონ ხალხისათვის, სამშობლოსათვის, სოციალისტური საზოგადოებიდან სრულ კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის დიადი ისტორიული ამოცანის განპირობებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკთა ამ უმაგალითო ერთსულოვნებისა და შემჭიდროების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო ყრილობის პირველი, გუშინდელი სხდომის მუშაობა. ჩვენი უძლეველი პარტიის სიმტკიცესა და მთლიანობას ჰყავს თავისი შესანიშნავი განსახიერება. ჩვენში არის სახელი, რომელიც ბოლშევიკთა რიგების სიმძლავრისა და მონოლიტობის სიმბოლოა. ეს სახელია დიდი **სტალინი,** რომელიც ასე სათუთად, ასე სიყვარულით, ასე აღფრთოვანებით გაისმოდა ყრილობის დარბაზში. დიახხანს, დიდხანს არ სწყდება ტაში და ოვაციები, როდესაც სპატიო პრეზიდიუმში ასახელებენ მას, ვინც საფუძველი ჩაუყარა საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ვინც გამოაწრთო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ბრძოლებისა და გამარჯვებებისათვის, ვინც საქართველოს კომუნისტური პარტია დიადი საკავშირო კომუნისტური პარტიის ერთერთ სახელოვან, უძლეველ რაზმად გახადა—დიდ **სტალინს.**

საქართველოს ბოლშევიკთა ყრილობამ გუშინ, ერთსულოვნად, ორგანიზებულად აირჩია რა თავისი ხელმძღვანელი ორგანოები, დაამტკიცა ყრილობის დღის წესრიგი. ყრილობის მთელი მუშაობის დეადარსს განსაზღვრავენ ამხანაგ ვ. მოლოტოვისა და ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები სკპ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. ეს თეზისები შემუშავებულია იმ მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, რაც ჩვენს ქვეყანაში დაგროვდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. თეზისები ნათლად ასახავენ იმ მსოფლიო -ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს, რომელიც ჩვენ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოვიპოვეთ. თეზისები გვაძლევენ შემდგომ ბრძოლათა და გამარჯვებათა ნათელ პროგრამას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მარტო ხელმძღვანელთა გამოცდილება საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საკმაო არაა. ის ამბობს:

„ჩვენ, ხელმძღვანელები, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ვხედავთ მხოლოდ ერთი მხრით, მე ვიტყოდი ზემოდან, ჩვენი მხედველობის არე, მაშასადამე, ცოტა თუ ბევრად შეზღუდულია. მასები, პირიქით, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ხედავენ მეორე მხრით, მე ვიტყოდი ქვემოდან, მათი მხედველობის არეც, მაშასადამე, ერთგვარად შეზღუდულია. საკითხის სწორი გადაწყვეტა რომ მივიღოთ, საჭიროა გავაერთიანოთ ეს ორი გამოცდილება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ხელმძღვანელობა სწორი“.

სწორედ ამიტომ ამხანაგ ვ. მოლოტოვისა და ამხანაგ ა. ჟდანოვის თეზისები განიხილეს პარტიულმა მასებმა, განიხილეს პირველადს პარტორგანიზაციებში, განიხილეს რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე და, მოიწონეს რა ძირითადად ეს თეზისები, თავიანთი გამოცდილების მიხედვით წამოაყენეს წინადადებანი, წამოაყენეს თავიანთი შესწორებანი და დამატებანი. სწორედ ამიტომ სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყრილობისწინა დოკუმენტებს, ამხანაგ მოლოტოვისა და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს იხილავს საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა.

დღეს ყრილობა შეუდგება დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენებას გააკეთებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებსაც შვიდი წლის განმავლობაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის სატკეთესო მოწაფე ამხანაგი ლ. პ. ბერია, დიდი გამოცდილება დააგროვეს პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის ყველა დარგში. საქართველომ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა კავშირმა, მეორე სტალინური ხუთწლედი ვადაზე ადრე შეასრულა. მესამე ხუთწლედში საქართველოს ბოლშევიკების წინაშე კიდევ უფრო დიდ და შესანიშნავი ამოცანები დაისმება. ამ ამოცანების შესახებ, იმ ვამოცდილების შესახებ, რაც საქართველოს ბოლშევიკებს აქვთ, ილაპარაკებენ ყრილობაზე დელეგატები და მიიღებენ სათანადო ვადაწყვეტილებას.

საქართველოს ბოლშევიკები შემჭიდროებული რიგებით მოვიდნენ თავის XII ყრილობაზე. ასევე მტკიცედ და შემჭიდროებულად მივლენ ისინი ჩვენი დიადი პარტიის XVIII ყრილობაზე და ამით ერთხელ კიდევ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცებენ, რომ ქვეყნად არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც ბოლშევიკთა რკინისებური რიგების მთლიანობის შერყევა შეეძლოს.

ლენინგრადის მე-8 საოლქო და მე-6 საქალაქო გაერთიანებულ პარტკონფერენციაზე

ლენინგრადი, 25 თებერვალი, (საკუთარი). დღეს ურიცკის სასახლეში გაიხსნა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის VIII საოლქო და VI საქალაქო გაერთიანებული კონფერენცია.

მონოლიტური, საკ. კ. პ. (ბ) ლენინ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული მოვიდა თავის გაერთიანებულ საოლქო და საქალაქო კონფერენციაზე ბოლშევიკთა ლენინგრადის ორგანიზაცია.

ლენინგრადის VIII საოლქო და VI საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენცია გახსნა ამხანაგმა ჟდანოვმა. განსაკუთრებული ყურადღებით უსმენენ დელეგატები მის ბრწყინვალე შესავალ სიტყვას. დარბაზში არაერთგზის გაისმის მჭუხარე ოვაცია სოციალიზმის დიდი ორგანიზატორისა და გამარჯვებათა სულისჩამდგმელის—ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

კონფერენცია უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევს სპატიო პრეზიდიუმში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

მოხსენებით ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისების შესახებ გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. პეროვი.

წერილი რედაქციისადმი

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავთან დაკავშირებით და მებრძოლთა, მეთაურთა, კომისართა და პოლიტმუშაკთა მიერ სამხედრო ფიცის მიღებასთან დაკავშირებით, ჩემს სახელზე მიღებულია მრავალი მისალმება წითელი არმიისადმი მუშათა და კოლმეურნეთა კრებებისაგან, წითელ არმიელთა ერთეულებისაგან, ზვევამდელებისაგან, სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან, სამეცნიერო და სამხატვრო გაერთიანებათაგან, დიასპალსებისაგან, კომკავშირელებისაგან, პიონერებისა და მოწაფეებისაგან, ყოფილ წითელ პარტიზანებისაგან, გუშტის კომანდებისა და მოზამთრეებისაგან, საბჭოთა მოქალაქეებისაგან, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან და ავრეთვე ცალკეული პირებისაგან.

რადგან საშუალება არა მაქვს ყველას ცალკე ვუპასუხო, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელით მხურვალე მადლობას ვუძღვნი ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და ამხანაგებს ჩვენი სახელოვანი არმიისადმი მისალმებისა და ძმური სურვილებისათვის, რაც იმას ჰმოწმობს, რომ ჩვენი წითელი არმია არის ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ხალხის ხორც-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი

კ. ვოროშილოვი

1939 წლის 25 თებერვალი.

გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა

გუშინ, 26 თებერვალს, საღამოს, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ნ. ჩარკვიანმა.**

ორგანიზებულად ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია ამხანაგები: **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე, ა. ნ. რაფავა, კ. ნ. შეროზია, გ. თ. სტურუა, ი. დ. კოკლამაზაშვილი, მ. ი. ბარამია, ს. გ. ბაზანდარაშვილი, ი. ვ. ტიულენევი, ი. ა. დორონინი, კ. გ. ბეჭვაია, გ. გ. თვალჭრელიძე, გ. ე. ნარსია, მ. ი. ჯაში, ს. გ. ხოშტარია, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ს. მ. იშხანოვი, ბ. ნ. არუთინოვი, ვ. ე. სალაძე, ფ. ე. მახარაძე, მ. მ. კვარაცხელია, ა. ი. მირცხულავა, ვ. გ. გრიგორიანი, ვ. ი. ეგნატაშვილი, ვ. ფ. კვირიკაშვილი, ა. ე. თოფურიძე, შ. ე. ფურცხვანიძე.**

სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები: **კ. ი. ბარიგიანი, ა. ს. ხუჯაძე, ნ. ი. ჩარკვიანი, მ. კ. დელბა. ნ. ვ. გაბუნია, გ. ი. კიკნაძე, ხ. მ. ბეჟანოვი.**

სამანდატო კომისია არჩეულია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: **მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. კოჭლაშვილი, დ. ლ. ჟორჟოლიანი, გ. დ. ჩაჩიბაია, შ. დ. ნუცუბიძე, გ. ა. გოჩაშვილი, ი. პ. ვაცეკო.**

ყრილობის სარედაქციო კომისიაში აირჩიეს ამხანაგები: **ი. კ. თავაძე, ვ. ი. ხატიაშვილი, ნ. პ. სარჭიასოვი, ე. ი. ჩერქეზიშვილი, ა. ფ. კვაჭაძე, ვ. ა. ლოლაძე, ბ. ა. ლიუდვიგოვი.**

ყრილობა მჭუხარე აღფრთოვანებული ოვაციითა და ხანგრძლივი ტაშით სპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს შემადგენლობას პარტიის დიდი ბელადის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგებს: **ლ. პ. ბერიას, გ. დიმიტროვს, ე. ტელმანსა** და **ზოზე დიასს.**

დიდხანს გრძელდება მჭუხარე ოვაცია ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან ერთიანი გრძნობით აღგზნებულნი. დარბაზიდან მოისმის მეძახილები „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“, „ურა!“, „ვაშა!“, „სალამი მშობლიურ **სტალინს!**“, „გაუმარჯოს **ლენინ - სტალინის** პარტიას!“, „გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**“.

დიდხანს არ სცხრება ოვაცია დარბაზში. ახალი ძალით გაისმის მჭუხარე ტაში. მისასალმებელი შეძახილები, რომლებიც გამოხატავენ მხურვალე სიყვარულს და ერთგულებას მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.**

დარბაზის ყოველ კუთხეში გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ურა!“, „ვაშა!“.

ყრილობის დელეგატები მხურვალედ ესალმებიან ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** არჩევას სპატიო პრეზიდიუმში. დარბაზში გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**“, „გაუმარჯოს სტალინურ სახკომს, საბჭოთა საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს ამხანაგ **ბერიას!**“.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით, მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ღებულობს ამხანაგ **სტალინისადმი** მისალმების ტექსტს.

მისალმების ტექსტის კითხვას არაერთხელ სწყვეტს მჭუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშითა და დიდი გულთბილობით ერთსულოვნად ღებულობს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიასადმი** მისალმების ტექსტს.

ამით მთავრდება ყრილობის პირველი სხდომა.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

ამხანაგ ნაღეჭდა კონსტანტინეს-ასულს კრუპსკაიას

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თქვენი დაბადების 70 წლისთავზე თავის მხურვალე სალამს გიძღვნიან თქვენ—ძველს ბოლშევიკსა და ლენინის მეგობარს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გისურვებენ ჯანმრთელობას და კვლავ მრავალი წლის ნაყოფიერ მუშაობას კომუნიზმის დიადი საქმისათვის. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა სასარგებლოდ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

ლენინგრადის VIII საოლქო და VI საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენცია

ამხ. ა. ა. ჟდანოვის შესავალი სიტყვა

25 თებერვალს, გახსნა რა კონფერენცია, ამხანაგმა ჟდანოვმა მკაფიო შესავალი სიტყვით მიმართა დელეგატებს. მან ილაპარაკა იმ მუშაობის დიად შედეგებზე, რომელიც პარტიამ ჩაატარა პარტიის XVII ყრილობის დროიდან გასული 5 წლის განძილზე.

— გასული პერიოდი პარტიის ცხოვრებისა, ბრძოლისა და მოღვაწეობისა — სთქვა ამხ. ჟდანოვმა,— აღსავსე იყო უდიდესი შემოქმედებითი შინაარსით. გადაჭრილია ბევრე ხუთწლედის ძირითადი ისტორიული ამოცანა — საბოლოოდ ლიკვიდირებულია ყველა ექსპლოატატორული კლასი, სრულიად მოსპობილია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და საზოგადოების დაყოფას ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. გადაჭრილია სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა—ამოცანა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა, რაც წარმოადგენს ულრმეს რევოლუციურ გადატრიალებას, რომელიც თავისი შედეგებით დიდი ოქტომბრის გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისაა. ძირითადად დამთავრებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია. მეორე ხუთწლედის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა,— სოციალიზმი.

ჩვენს ქვეყანაში ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება, — საზოგადოება, რომელიც ეყრდნობა მეგობრული კლასების—მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს. ჰქრება ზღვრები საბჭოთა საზოგადოების კლასებს შორის. ამ საფუძველზე გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალური - პოლიტიკური ერთიანობა, რამაც თავისი ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიის ერთერთ უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს შექმნა ახალი კადრებისა, რომლებიც ბოლომდე ერთგულნი არიან პარტიისა და მუშათა კლასის საქმისა.

სოციალიზმის გამარჯვებებს ჩვენმა პარტიამ მიაღწია იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობს ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტი ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითაურობით, მიაღწია იმიტომ, რომ პარტია განუხრელად და ძლევამოსილად ატარებდა თავის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას, რომელიც ბრწყინვალედ შემოწმებულია ათეულობ წილობრობით ადამიანთა გამოცდილებით. გაიმარჯვა ჩვენი პარტიის პოლიტიკამ, გაიმარჯვა მისმა მოწინავე თეორიამ, გაიმარჯვა ბოლშევიზმის ორგანიზაციულმა პრინციპებმა.

ჯაშუშურ - ბავნიბლური ბანდების განადგურებამ გზა გაუკაფა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის შემდგომს და კიდევ უფრო მძლავრ წარმატებებს.

სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში—უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დაბთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების პოლიტიკური აღზრდის საკითხებს, მუშათა კლასის კულტურულ - ტექნიკური დონის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დონემდე ამაღლების საკითხებს. იზრდება ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის როლი.

შემდეგ ამხანაგი ჟდანოვი ჩერდება მესამე ხუთწლედის ძირითად ეკონომიურ ამოცანაზე — ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. დროის უახლოეს პერიოდის განმავლობაში ჩვენ ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ, რომ სსრ კავშირის მრეწველობის განვითარების დონე თითო სულ მოსახლეზე წარმოების ოდენობის მხრივ იყოს რომელიც გნებავთ კაპიტალისტური ქვეყნის დონეზე მეტი. ამ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა უზრუნველჰყოფს პროდუქტების სიუხვეს ჩვენს ქვეყანაში, ხოლო პროდუქტების სიუხვე ერთერთი მთავარი და გადამწყვეტი პირობაა კომუნიზმის. გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ განხორციელდეს კომუნისტური პრინციპი — თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით. მესამე ხუთწლედი არის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის აყვავების. მათი მატერიალური და სულიერი კულტურის ზრდის ხუთწლედი.

განვითარების ახალი ხანა, რომელშიაც შევიდა საბჭოთა კავშირი მესამე ხუთწლედში,—ებობს ამხ. ჟდანოვი, — ახალ ამოცანებს აყენებს პარტიის წინაშე და მოითხოვს პარტიული მუშაობის სათანადო გარდაქმნას.

ლენინი და სტალინი ორგანიზაციულ საკითხს ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ. ლენინი და სტალინი ჩვენ პოლიტიკისა და ორგანიზაციის ერთიანობას გვასწავლიან.

ამხანაგი სტალინი ჩვენ გვასწავლის რომ „...მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, ორგანიზაციული მუშაობა სწყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც, —მის შესრულებას ან მის ჩაშლას“.

სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების გრანდიოზულ ამოცანასთან დაკავშირებით კიდევ უფრო იზრდება პარტიის როლი, კადრების როლი, მასების მობილიზაციის როლი, სუბიექტური ფაქტორის როლი. ადამიანთა შერჩევაზე და შესრულების შემოწმებაზეა დაფიქიდებული ჩვენი მუშაობის წარმატება. საკითხის დედაარსი, როგორც ამას გვასწავლიდა ლენინი და გვასწავლის ამხანაგი სტალინი, მდგომარეობს ადამიანთა შერჩევაში, შესრულების შემოწმებაში.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ორგანიზაციის აბსოლუტური ფორმა არ არსებობს, რომ ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები იცვლებიან კონკრეტული პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით. სწორედ იმ ღრმა ცვლილებებიდან, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და კლასობრივ სტრუქტურაში მოხდა, გამომდინარეობენ ის ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში, რომლებიც დასახულია თეზისებში პარტიის XVIII ყრილობისათვის.

ცვლილებანი ჩვენი პარტიის წესდებაში მიზნად ისახავენ განსაზღვრონ პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის ის ახალი ხერხები, ორგანიზაციული ფორმები და პარტიის შინაგანი ცხოვრების წესები, რომლებიც შეესაბამებიან გამარჯვებული სოციალიზმის პარტიის ამოცანებს. რომლებიც შეიარაღებენ ჩვენს პარტიას კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანების გადასაჭრელად.

წესდება არ შეიძლება არ იცვლებოდეს ჩვენი პარტიის მოღვაწეობის შეცვლილი ვითარების შესაბამისად. ეს ცვლილებანი დაკავშირებულია სოციალიზმის გამარჯვებასთან, დაკავშირებულია პოლიტიკურ მობრუნებასთან ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სტალინური კონსტიტუციის შემოღებასთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკურმა მობრუნებამ პარტიისაგან მოითხოვა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნა თანმიმდევრობითი დემოკრატიული პრაქტიკის გატარების საფუძველზე, როგორც ამას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები მოითხოვენ.

ცვლილებებმა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში უნდა ასახონ აგრეთვე კლასობრივი თანაფარდობანი სსრ კავშირში. ახალ კლასობრივ ვითარებაში მომწიფდა იმის საჭიროება, რომ შეცვლილი იქნას პარტიაში მიღების პირობები იმ მხრივ, რომ გაფართოვდეს პარტიის წევრებისა და კანდიდატების მიღების პერსპექტივები. ცვლილებებმა წესდებაში კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიონ პარტიის წევრის სახელწოდება, ამაღლონ ორგანიზაციული მუშაობა ჩვენი პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მონაწილე, გაამაგრონ ბოლშევიზმის ორგანიზაციული იარაღი მესამე ხუთწლედის მსოფლიო-ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად.

საბჭოთა სახელმწიფო უძლეველ ძალად იქცა. პარტიის ამოცანა შემდგომშიაც იმაში მდგომარეობს, რომ მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით კიდევ უფრო გააძლიეროს მუშათა და გლეხთა სოციალისტური საკუთრება სოციალისტური სახელმწიფო, განამტკიცოს სსრ კავშირის თავდაცვა, გაადვილოს პარტიისა და საბჭოთა ხალხის სიფხიზლე, ვინაიდან არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს მესამე ხუთწლედის დიადი ამოცანებისათვის ბრძოლის სიძნელენი, განსაკუთრებით მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, რომლის არსებობის დავიწყებას უფლებაც ბოლშევიკებს არა აქვთ.

ამხანაგი ჟდანოვი აღნიშნავს, რომ პარტიის XVIII ყრილობისათვის მოხსენებათა თეზისების ფართოდ განხილვამ, რაც მთელს პარტიასა და ლენინგრადის ორგანიზაციაში გაჩადდა, დაგვანახვა ჩვენი პარტიის რიგების პოლიტიკური აქტივობისა და შეგნებულობის უმაგალითო ზრდა, პარტიის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის მთელი პარტიული მასის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება, დაგვანახვა დემოკრატიზმის არნახული აყვავება პარტიის შიგნით.

ამხანაგი ჟდანოვი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ლენინგრადის VIII საოლქო და VI საქალაქო გაერთიანებული პარტიული კონფერენცია საქმიანად და სერიოზულად განიხილავს მოხსენებათა იმ თეზისებს, რომლებიც წარდგენილია ჩვენი პარტიის XVIII ყრილობისათვის. ლენინგრადელი ბოლშევიკები მთელ პარტიასთან ერთად, როგორც მისი ერთერთი მოწინავე რაზმი, ეგებებიან პარტიის XVIII ყრილობას, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოხაზავს სამუშაოთა დიად გეგმას არა მარტო ჩვენი პარტიისათვის, არამედ სსრ კავშირის ყველა მშრომელისთვისაც.

ამხანაგ ჟდანოვის სიტყვას კონფერენციის დელეგატები მჭეხარე ზანგრძლივი ტაშით უპასუხებენ. დარბაზის სხვადასხვა კუთხიდან პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად გაისმის შეძახილები. რომლებსაც მჭეხარე „ვაშა“ და მბურგალე ოვაცია ჰფარავს.

ლენინგრადი, 26 თებერვალი. (საკ.).

სამხედრო ფიცის მიღება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოში

23 თებერვალს — სამხედრო ფიცის მიღების საზეიმო დღე—სამუდამოდ აღიბეჭდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა მუშაკების ხსოვნაში. მათ თავისი სამშობლოს ერთგულების ფიცი დასდეს წითელი არმიის საყვარელი ბელადის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის თანდასწრებით.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა ხელმძღვანელი მუშაკების სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეებმა—არმიის 1 რანგის სარდალმა გ. ი. კულიკმა, არმიის 1 რანგის კომისრებმა—ლ. ზ. მეხლისმა და ე. ა. შჩადენკომ. მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის მუშაკებს ფიცი დაადებინა თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. მ. ბუდიონიმ. მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელ მუშაკებს ფიცი დაადებინა მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის 1 რანგის სარდალმა ბ. მ. შაპოშნიკოვმა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სამმართველოში და პოლიტიკურ სამმართველოში ფიცის მიღებას დაესწრო სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამმართველოთა მუშაკების ხსოვნაში. მათ თავისი სამშობლოს ერთგულების ფიცი დასდეს წითელი არმიის საყვარელი ბელადის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის თანდასწრებით.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა ხელმძღვანელი მუშაკების სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეებმა—არმიის 1 რანგის სარდალმა გ. ი. კულიკმა, არმიის 1 რანგის კომისრებმა—ლ. ზ. მეხლისმა და ე. ა. შჩადენკომ. მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის მუშაკებს ფიცი დაადებინა თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. მ. ბუდიონიმ. მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელ მუშაკებს ფიცი დაადებინა მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის 1 რანგის სარდალმა ბ. მ. შაპოშნიკოვმა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სამმართველოში და პოლიტიკურ სამმართველოში ფიცის მიღებას დაესწრო სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამმართველოთა მუშაკების ხსოვნაში. მათ თავისი სამშობლოს ერთგულების ფიცი დასდეს წითელი არმიის საყვარელი ბელადის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის თანდასწრებით.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოთა ხელმძღვანელი მუშაკების სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეებმა—არმიის 1 რანგის სარდალმა გ. ი. კულიკმა, არმიის 1 რანგის კომისრებმა—ლ. ზ. მეხლისმა და ე. ა. შჩადენკომ. მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის მუშაკებს ფიცი დაადებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის

ვიხილავთ ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს

თბილისის ტრამვაის სახელოსნოების სტახანოველები გეგმის გადაჭარბებულად შესრულებით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) XII ყრილობას. სურათზე: სტახანოველები: ზურაბალი ი. ჭაგუნაშვილი (გეგმას ასრულებს 350 პროც.), ხარატები: რ. ეგიტოვი (300 პროც.) და ვ. ჭიტიაშვილი (350 პროც.), ო. კუჭაიძე—შეგირდი, რომელიც წარმოყენებულია მეკომპრესორედ, ამოწმებენ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას.

საქდესის ფოტოქრონიკა

ზოგიერთი დამავნებანი და ცვლილებანი ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში

ჩვენი ქვეყნის კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, სავსებით დროულია საკითხის დასმა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში მთელი რიგი დებულებების შეცვლის შესახებ.

მისასალმებელია პარტიაში მიღების არსებული კატეგორიების გაუქმება. კატეგორიების არსებობა აძნელებდა პარტიის ზრდას, განსაკუთრებით ჩვენს რაიონში. მეოთხე კატეგორიით მისაღებ პირთათვის რეკომენდატორად საჭირო ითწლიანი პარტიული სტაჟის მქონე კომუნისტი ჩვენს რაიონში მხოლოდ ფორმეტია, ესენი სხვადასხვა პირველადს ორგანიზაციებში ირიცხებიან და დაცილებული არიან ერთიმეორეს ათეული კილომეტრი მანძილით. ამიტომ მეოთხე კატეგორიით მისაღები ამხანაგების საკითხის განხილვისას რეკომენდატორი უნდა ჩამოსულიყო 20-30 კილომეტრით დაშორებული პუნქტიდან. ეს ძალიან აფერხებდა პარტიის რიგების ზრდას.

პარტიის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის სავალდებულო პარტიული სტაჟის შემცირება ხელს შეუწყობს ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული, ნიჭიერი, აბალგაზრდა ადამიანების დაწინაურებას.

მე მინდა გავაკეთო რამდენიმე შენიშვნა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებების შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) წესდების შესავალში მეორე აბზაცში სიტყვები: „სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“ შეიცვალოს სიტყვებით: „კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“. ამასთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს მესამე აბზაციც, სადაც უნდა ჩაიწეროს: „პარტია ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოს და უზრუნველჰყოფს კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენებას“.

საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში განსაზღვრული არ არის, რა ასაკიდან შეიძლება საკ. კ. პ. (ბ)-ში მიღებ. პარტიაში ჩიღების საკითხზე ბრაჭკოლად მუშაობის დროს ხშირად სხვადასხვა აზრს ვაწყდებით ამ საკითხზე. ზოგი ფიქრობს: რომ 18-19-20 წლის ახალგაზრდები არ უნდა მივიღოთ პარტიაში. ჩემის აზრით, 18 წლის ასაკიდან უკვე შესაძლებელია პარტიაში მიღება. 18 წლის ახალგაზრდა უკვე სრულუფლებიანი მოქალაქეა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის ცხოვრებაში.

ჩემის აზრით, კარგი იქნება, თუ წესდება დაიკანონებს, რა ასაკიდან შეიძლება პარტიაში მიღება.

მე ვფიქრობ—საკ. კ. პ. (ბ) წესდების 27 მუხლში საჭირო იქნება ერთგვარი ცვლილება „...მორიგი ყრილობების მოწვევა ხდება ერთხელ მაინც სამ წელიწადში“. ჩემის აზრით, საკ. კ. პ. (ბ) მორიგი ყრილობა საკმარისია მოწვეულ იქნას ხუთწლიწადში ერთხელ.

ამხანაგი სტალინი კომკავშირელ პროპაგანდისტ ივანოვს სწერდა, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რაზეა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ინიმა ვერ მოგვისწროს მოულოდნელად. მე ვფიქრობ, კომუნისტი პირველ რიგში უნდა იძლეოდეს მობილიზაციური მზადყოფნის ნიმუშებს. სამხედრო ტექნიკის გიგანტური განვითარების, კაპიტალისტური გარემოცვის და ომის საფრთხის ზრდის პირობებში ღიზან შეწონილი იქნება დაემატოს პარტიის წევრის ვალდებულებებს, რომ ის განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის სამხედრო ცოდნას.

პარტიის წესდება მოითხოვს პარტიაში შემსვლელთათვის საკანდიდატო სტაჟის გავლას. ჩვენს ქვეყანაში გამოიზარდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ყველას დაანახვეს თავისი პირადი თვისებები: უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის საქმისადმი, სიმტკიცე, უბრალოება, სიმართლე, გმირობა და თავდადება პარტიის მიერ დავალებული საქმის შესრულებაში. ჩემის აზრით, ისეთი ამხანაგებისათვის, რომელთაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს მათი სამგმირო საქმეებით და ისინი გაცნობილი არიან პარტიის პროგრამას, წესდებას და ტაქტიკას, სავალდებულო არ უნდა იყოს საკანდიდატო სტაჟის გავლა, ისინი პირდაპირ მიღებულ უნდა იქნენ პარტიის წევრებად.

ალექსანდრა მენაბდე

საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომის მდივანი.

საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისები პარტიის XVIII ყრილობისათვის ასაბავენ სოციალიზმის იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

თეზისებში გათვალისწინებული ცვლილებანი და დამატებანი კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს პარტიას, შეამჭიდროებენ და დარაზმავენ მას სტალინური ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის ირგვლივ.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში სწერია, რომ „საწარმოო საწარმოების, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და საწარმოთა მუშაობის მდგომარეობისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, მიენიჭოს ამ ორგანიზაციებს საწარმოს ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლის უფლება“.

საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის ასეთი კონტროლის მინიჭების უფლება უაღრესად დროული და გამართლებული. კონტროლის უფლების მინიჭება ზრდის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობას საწარმოს მუშაობისათვის.

ტყიბულის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ხშირი იყო ომის მაგალითი, როდესაც თავს იკავებდნენ წარმოება-დაწესებულების კონტროლისაგან, განზე იდგნენ სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში. პარტიის ტყიბულის რაიკომიც არაიშვიათად მოაგონებდა პარტორგანიზაციებს, რომ თავი შეეკავებინათ სამეურნეო მუშაობაში ჩარევისაგან. მაგალითად, სტალინის სახელობის მაღარო დანაკლისებით ასრულებდა ქვანახშირის ამოღების დავალებას. მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ ხელი მოჰკიდა ჩამორჩენის მიზეზების გამორკვევას, შეამოწმა სამეურნეო მუშაობა და მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი, მაგრამ ჩვენ ეს სამეურნეო მუშაობაში ჩარევად ჩავთვალეთ და ამხანაგებს გაფრთხილებდით მომავალში თავი შეეკავებინათ ასეთ მეურვეობისაგან.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები და განსაკუთრებით სოფლის პარტორგანიზაციები სუსტად მუშაობდნენ სამეურნეო საკითხებზე. მაგალითად, ისეთი დიდი სამეურნეო ორგანიზაციის პირველადი პარტორგანიზაცია, როგორიც არის ტყიბულქვანახშირის ტრესტი, პარტკომის სხდომებზე იშვიათად იხილავდა. სამეურნეო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრესტის მუშაობისათვის.

ჩემი აზრით სავსებით სწორი და მართებულია მასობრივი წმენდის მეთოდის გაუქმება. ტყიბულის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად სწმენდდა და სწმენდს თავის რიგებს ინდივიდუალური წესით. ასე, მაგალითად, ამ რამდენიმე თვის წინათ პარტიის რაიკომის ბიურომ საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხა კურსების ორკონიკიის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ს. ბეჟუაშვილი, რომელიც უხეშად არღვევდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას და ეწეოდა სპეკულაციას. საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულ იქნენ აგრეთვე ა. გიორგაძე და ი. ლომთაძე. პირველი—პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის და მეორე—კოლმეურნეობაში მუშაობის სამარცხვინოდ ჩაშლისათვის.

საკანდიდატო სტაჟის შემცირება და პარტიაში მიღების დროს კატეგორიების გაუქმება წარმოადგენს იმ უდიდეს ცვლილებათა გამოხატულებას, რომლებიც მოხდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კლასობრივ სტრუქტურაში.

მე მინდა შემოვიტანო წინადადება, რომ საკანდიდატო სტაჟის შემცირება გავრცელდეს იმ პარტკანდიდატებზეც, რომლებიც XVIII პარტყრილობამდე არიან მიღებულნი.

პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები აყენებენ თანამგრძნობთა ჯგუფების გაუქმების საკითხს. ასეთივე წინადადება აქვს ტყიბულის რაიაღმასკომის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ე. ბუბაშვილს. ჩემის აზრით საკითხის დასმა თანამგრძნობთა ჯგუფების გაუქმების შესახებ არ არის სწორი. მესამე ხუთწლედში პარტიული ორგანიზაციების და მთელი მშრომელი მასების წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების შესრულებაში დიდი როლი აქვთ დაკისრებული თანამგრძნობთა ჯგუფებსაც, რომლებიც პარტიასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი უპარტიო აქტივისაგან შესდგებიან. ჩვენს ქვეყანაში მილიონები თანაუგრძნობენ პარტიას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი საქმეა უბრალოდ თანაუგრძნობდე, ხოლო სხვაა იყო ორგანიზებული თანამგრძნობი.

ის ცვლილებანი პარტიის წევრთა და მათ უფლებათა შესახებ, რომლებიც მოცემულია ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში, ამტკიცებენ ბოლშევიკების პარტიის კავშირს მასებთან, რაზმავენ კომუნისტებს ლენინ-სტალინის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

ნ. ბაიდაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი

განისაზღვროს აპელაციის შეჯანის ვადა

არის შემთხვევა, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულ პირს არ შეაქვს პარტიულ ორგანიზაციაში საჩივლაციო განცხადება აღდგენის შესახებ 6-7 წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ადვილად ხდება აღდგენა, რადგანაც მათდამი წაყენებულ ბრალდებებს სთვლიან მოძველებულად, თანაც ძნელი ხდება ადრინდელ ბრალდებათა შემოწმება.

ჩემის აზრით, პარტიიდან გარიცხულმა ერთი წლის განმავლობაში თუ არ შეიტანა საჩივლაციო განცხადება, ამის შემდეგ არ უნდა იქნეს განხილული განცხადება მისი პარტიაში აღდგენის შესახებ. ერთი წლის გასვლის შემდეგ კი, თუ მოიანია დანაშაული და თუ მუშაობს კვეთილსინდისიერად საწარმოში, დაწესებულებაში ან კოლმეურნეობაში, მაშინ მან ახლად უნდა შეიტანოს განცხადება პარტიაში მისი ხელახლა მიღების შესახებ. პარტიაში აღდგენის საკითხი კი გარიცხვიდან 1 წლის ვადის გასვლის შემდეგ აღარ უნდა დაისვას.

მ. ასატუროვი

საქ. ჯ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ინსტრუქტორი.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქვაბე სამჭროს ნიშნოსან ბაბაევის ბრიგადამ საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის აღსანიშნავად თებერვლის გეგმა 25 თებერვალს გადაჭარბებით შეასრულა, 9 ქვაბის ნაცვლად აწყო 12 ქვაბი. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: დ. ბილალეიშვილი, ზ. მუსხელიშვილი, ნ. ბეჟუაშვილი, ი. ბაბაევი, გ. მარტიროსოვი, ა. მარტიროსოვი, ფ. გაკრილოვი.



თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი მ. აღალაროვა, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის გეგმას 170 პროცენტით ასრულებს

საქდესის ფოტოქრონიკა

ჩაის მრეწველობა მესამე ხუთწლედში

მესამე სტალინურ ხუთწლედში საქართველოს ჩაის მრეწველობის წინაშე დასმულია მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანები—ნაცვლად 1937 წლის 27.312 ტონისა, 1939 წელს მან უნდა გადაამუშაოს 43.094 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1940 წელს—51.094, 1941 წელს — 60.800, 1942 წელს კი—70.743 ტონა (1937 წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 159 პროცენტს).

გარდა ამისა, საქართველოს ჩაის მრეწველობას დავალებული აქვს ნედლეული გადაამუშაოს მწვანე აგურის ჩაისა და ბაიხის ჩაის დასამზადებლად. მაგალითად, მარტო ბაიხის ჩაი, ნაცვლად 1938 წლის 8.280 ტონისა, წელს უნდა დამზადდეს 10.185 ტონა, ხოლო 1940, 1941 და 1942 წლებში—12.029-დან 16.618 ტონამდე. ასევე გაიზრდება მწვანე აგურის ჩაის დამზადებაც. მარშან ის 1200 ტონა დამზადდა, წელს გათვალისწინებულია დამზადდეს 2.000 ტონამდე, 1942 წლის ბოლოსათვის კი—4.500 ტონამდე. ერთი სიტყვით, ბაიხის ჩაი გამოშვებული იქნება 155,3 პროცენტით მეტი, ვიდრე 1937 წელს იქნა გამოშვებული, მწვანე აგურის ჩაი კი—576,2 პროცენტით მეტი.

ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივი ზრდა იწვევს შემოსავლიანობის ზრდასაც. მაგალითად, 1938 წელს გამოშვებულ იქნა 48.120.000 მანეთის მზა პროდუქცია (1926-27 წლის უცვლელ ფასებში), მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის კი პროდუქციის წლიური გამოშვება 101.476.000 მანეთს მიაღწევს.

მესამე ხუთწლედის ერთერთ მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას—გემოს, არომატს და სხვ. მესამე და მეორე ხარისხის ჩაის შემცირებით გაიზრდება პირველი და უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქცია. მაგალითად, 1937 წელს პირველი და უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქცია შეადგენდა 8,2 პროცენტს, მესამე ხუთწლედის ბოლოს კი ეს რაოდენობა აყვანილი იქნება 22,3 პროცენტამდე. ამავე დროს, არომატის გაუმჯობესების მიზნით ანასეულის ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ჩაატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს.

გარდა ამისა, მესამე ხუთწლედში საწარმოო ხარჯების შემცირებით 3,96 პროცენტით შემცირდება პროდუქციის თვითღირებულებაც.

მესამე ხუთწლედში დასახულ ამოცანათა შესასრულებლად ჩაის მრეწველობაში ჩაბმული იქნება 39,6 პროცენტით მეტი მუშა-ხელი, ვიდრე 1937 წელს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ჩაის მრეწველობის წინაშე დასახულია უაღრესად დიდი მნიშვნელობისა და მოცულობის სამუშაოები. ამ ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად ჩაის მრეწველობაში დაბანდებული იქნება 110 მილიონი მანეთი.

ამჟამად საქართველოში ჩაის 35 ფაბრიკა მუშაობს, მაგრამ, ცხადია, პლანტაციების მოსალოდნელ კიდევ უფრო უხვ მოსავალს ეს ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ ახალი ფაბრიკების მშენებლობისა და არსებულთა გაფართოება - რეკონსტრუქციის გეგმით, რომელიც საქ. სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა, მესამე ხუთწლედში აგებული იქნება ჩაის 12 ახალი ფაბრიკა და გაფართოვდება საბოლოო წარმადობამდე ამჟამად მომქმედი 15 ფაბრიკა.

ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებში ბესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუშა - მოსამსახურეთა ყოფა-კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მესამე ხუთწლედში საბინაო მშენებლობაზე დაბანდებული იქნება 13.646.000 მანეთი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 11 საბავშვო ქერისა და 8 საბავშვო ბაგის შენობათა აგება, რაზედაც დაიხარჯება 2.515.000 მანეთი.

თბილისში მესამე წელია მიმდინარეობს ჩაის ამწონი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა 1940 წელს უნდა დამთავრდეს და კიდევაც ამუშავდეს. მის მშენებლობაზე დაიხარჯება 3.500.000 მანეთი. გარდა ამისა, მესამე ხუთწლედში თბილისში დამთავრდება ტრესტის 7-სართულიანი სახლის მშენებლობა. ამ სახლში მოთავსდება „საჩაის“ ცენტრალური აპარატი, რაიონებში კი აივება ფაბრიკების დამხმარე შენობები და ჩატარდება მათი კეთილმოწყობა.

ჩვენ გვაქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ მესამე ხუთწლედში შეუფერხებლად გადავამუშაოთ ჩაის მთელი მოსავალი, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრებითი პირობები და უზრუნველვყოთ მომხმარებელი საუკეთესო ხარისხის საბჭოთა ჩაით.

ლ. ნანეიშვილი

„საჩაის“ დირექტორი

ტყიბულნახშირი მესამე ხუთწლედში

დ. ჩიქვაიძე

„ტყიბულნახშირის“ ტრესტის მმართველი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

მესამე ხუთწლიანი გეგმით ტყიბულის ქვანახშირის საბადოს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სათბობ მაღალთა ბალანსში მკვეთრად იზრდება.

მესამე ხუთწლედში ექსპლოატაციაში შევლენ ისეთი საწარმონი, რომლებშიაც 37 მილიონი მანეთი იქნება დაბანდებული. 1939 წელს ექსპლოატაციაში შევა დასავლეთის შახტი, რომელიც წლიურად 650 ათას ტონა ქვანახშირს მოგვცემს, ხოლო 1940 წელს ამუშავდება აღმოსავლეთის შახტი, წლიურად 750 ათასი ტონა ქვანახშირის სიმძლავრით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლენინის სახელობის შახტი კიდევ 4-5 წელს იმუშავებს, მაშინ ტყიბულის ქვანახშირის საბადოში წლიური ამოღება მილიონ-ნახევარ ტონას მიაღწევს.

ახალი შახტების ექსპლოატაციის დაწყება დაკავშირებულია ქვანახშირის ამოღების ახალი სისტემების განხორციელებასთან, სახელდობრ, ამოვსების მეთოდთან, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ მადნის დანაკარგი და თავიდან ავიცილოთ ხანძრების გაჩენა. განზრახულია მშრალი ამოვსების გამოყენება. ამის გატარება მოითხოვს ქვის საკარიერო-სამტვრევი სამუშაოების გაშლას.

ქვანახშირის ამოღების მნიშვნელოვნად გაზრდა მოითხოვს მთელი რიგი საკითხების გადაჭრას:

1. ამჟამად არსებულ რკინიგზის შტოს შეუძლია დღეღამეში 1940 ტონა ქვანახშირის გადახვიდა სხვა ტვირთის გარდა. 1940 წელს ქვანახშირის ამოღება დღეღამეში მიაღწევს 5000 ტონას. ამიტომ საჭირო იქნება ახალი ელექტროფიცირებული შტოს გაყვანა რიონსა და ტყიბულს შორის, ანდა არსებული შტოს ელექტროფიცირება და საწირტყიბულის უბანზე რკინიგზის გაფართოება.

2. აუცილებელია ჭუთაისი - ტყიბულის გზატკეცილის მშენებლობის დამთავრება. ეს დამატებითი სატრანსპორტო არტერია ხელს შეუწყობს რკინიგზის შტოს განტვირთვას და მის რეკონსტრუქციას.

3. ტყიბულნახშირის ტრესტის საწარმოთა ელექტროენერგიით მომარაგების არსებული სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს შეუფერხებელ მუშაობას. ამ საკითხის მოგვარება უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით: რიონჰესის მეორე გადამცემი ხაზის აგებით და გადამცემი ხაზის 35 კილოვატიდან 110 კილოვატზე გადაყვანით. ამასთან უნდა მოხდეს ჩვენი ელექტროენერგიის ჭიათურის მაღაროების რკალში ჩართვა და თვით ტყიბულში ელექტროენერგიის სარეზერვო წყაროების შექმნა. ეს უკანასკნელი ამოცანა ორ ნაწილად იყოფა: პირველია მდ. შაორის წყლის გადმოგდება 400-450 კილოვატიანი ტურბინის დასადგმელად, რაც ნაწილობრივ დააკმაყოფილებს ენერგეტიულ მოთხოვნილებას, და მეორე — თბოელექტროსადგურის აშენება მაღალვოლტოვანი სათბობის — ნახშირიანი ფიქალების გამოყენებით, რომლის მარაგი ტყიბულში მეტად დიდია.

4. ტყიბულნახშირის პროდუქციის გაზრდასთან ერთად გაიზრდება მუშათა რიცხვი წარმოებაში. გარდა ამისა, აუცილებელია მშრომელთა ძველი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება. საბინაო - კომუნალური მშენებლობისათვის გამოყოფილია 62 მილიონი მანეთი, აქედან მესამე ხუთწლედში ათვისებული იქნება 30 მილიონ მანეთამდე. დიდ საბინაო შენობებთან ერთად აგებული იქნება ცენტრალური და ადგილობრივი კლუბი, კულტურისა და დასვენების პარკი, სასტუმრო, სტადიონი, გაყვანილი იქნება ახალი წყალსადენი მდ. შაორის ბაზაზე, მოეწყობა კანალიზაცია და სხვ.

5. ტყიბულის ქვანახშირი რთული პეტროგრაფიული შემადგენლობისაა და მოითხოვს გასუფთავებას თუნგ ქანის შრეძარღვებისაგან. ამიტომ საჭიროა მისი გაუხვება და მისგან ზოგიერთი კომპონენტის გამოყოფა, რაც მოხდება ცენტრალურ გამამხვებელ ფაბრიკაში, რომლის აგებაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დაიხარჯება 12 მილიონ მანეთზე მეტი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისების იმ მუხლის განხორციელებისათვის, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ერთად სამეურნეო მარაგისა და სახელმწიფო რეზერვის შექმნას, საჭიროა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დამატებითი ძიება, რადგან ჩატარებული ძიება არ იძლევა სრულ სურათს ამ მხრივ.

თეზისი: „შეიქმნას ადგილობრივი ნახშირის ამოღების ახალი ბაზები ქვეყნის ყველა რაიონში, სადაც ძორბოვება თუნდაც პატარა საბადოები, და მათი განვითარების მიხედვით ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, კომუნალური საწარმოები, სკოლები, საავადმყოფოები და დაწესებულებანი, გადაყვანილი იქნან შორით მოტანილ სათბობიდან ადგილობრივ სათბობზე“, სავსებით შეიძლება განხორციელდეს ტყიბულის სინამდვილეში. ამისათვის საჭიროა საძიებო სამუშაოების ჩატარება, რათა დაგეგმილ იქნას მცირე შახტები წაბლარას, ძიროვანის რაიონებში, მუხურის უღილტეხილთან და ყოფილი საბრიკეტო ფაბრიკის ახლოს.

გელათის ქვანახშირის საბადოს დამუშავება მომდინარე წლის დაიწყება. აქ იხსნება მაღარო, რომლის წლიურად 60.000 ტონა ქვანახშირს მოგვცემს. საბადოს ნაწილი დამუშავებული იქნება გვირაბებით, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ნახშირის ფენის სიმძლავრე მერყეობს და გაძნელებულია სამთო სამუშაოების გამოყენება, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს გაზიფიკაციის მეთოდის გამოყენება, მით უმეტეს, რომ ახლოს არის აზოტ-სასუქის კომბინატი და დასახლებული პუნქტი — ქუთაისი, რომლის მოსახლეობას ფართოდ შეიძლება მივაწოდოთ ენერგეტიკული გაზი.

ტყიბულის ქვანახშირის საბადოსთვის ერთერთ საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს მისი კომპლექსური დამუშავება. ქვანახშირის ფენი აქ სხვადასხვაგვარია. მისი დამუშავების არსებული მეთოდის დროს ამ სხვადასხვა სახეობათა ერთმანეთისაგან გამოყოფა არ ხდება, რის გამო იკარგება ცალკეული მაღალხარისხოვანი კომპონენტები და ეცემა ქვანახშირის მთელი მასის ხარისხი. ტყიბულის საბადოში მოიპოვება ქვანახშირის ისეთი სახეობა, რომელიც იძლევა დამაკმაყოფილებელი ხარისხის მეტალურგიულ კოქსს. მისი გამოყოფა ქვანახშირის ამოღებისა და შემდგომი გაუხვების დროს საშუალებას მოგვცემს საქართველოს ქარხნები მოვამარაგოთ კოქსით და კოქსირების ქიმიური პროდუქტებით, რომელთაც უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

ქვანახშირის მეორე კომპონენტი — ფისოვანი ლიპტობიოლიები, წარმოადგენს ღირსშესანიშნავ ნედლეულს ქიმიური მრეწველობისათვის გაზისა და სამოტორო საცხები ზეთის მისაღებად.

ტყიბულის საბადოში ქვანახშირის ფენებთან ერთად ფართოდ მოიპოვება ნახშიროვანი ფიქალები. რომლის ამოღებაც ამჟამად უმნიშვნელო რაოდენობით ხდება. მისი მარაგი 35 მილიონ ტონას აღწევს. მათი გამოყენება შეიძლება როგორც სათბობ მასალად, ისე ალუმინის მრეწველობაში, რომლის მოწყობისათვის ყველა პირობა არსებობს ტყიბულის სინამდვილეში.

უნდა შევეხეთ აგრეთვე მიწისქვეშა ხანძრებთან ბრძოლის საკითხზე. მიწისქვეშა ხანძრებს, რომლებიც იწვევენ ქვანახშირის დანაკარგებს, შეუძლიათ გავრცელდნენ ქვედა ჰორიზონტებზე, სადაც ნავარაუდევია ახალი შახტების აგება. ამიტომ მესამე ხუთწლედში უნდა უზრუნველვყოთ ამ ხანძრების ჩაქრობის საუკეთესო ორგანიზაცია.

შენიშვნები ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში არაფერი არ არის ნათქვამი პარტიაში კომკავშირელთა მიღებისას კომკავშირის რაიკომის მიერ რეკომენდაციის მიცემის გაუქმების შესახებ. ამრიგად კომკავშირელებისათვის პარტიაში შესვლისას ისევ სავალდებულოდ რჩება რაიკომის რეკომენდაციის მიცემა. თუ ეს ასეა, ჩემის აზრით უფრო მიზანშეწონილია კომკავშირელებს რეკომენდაცია მისცეს კომკავშირის პირველადმა ორგანიზაციამ, რადგან ეს უფრო გააადვილებს ამხანაგებისათვის რეკომენდაციის მიცემის საქმეს და გაზრდის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას.

რამდენიმე სიტყვა თანამგრძნობათა ჯგუფის შესახებ. სავსებით მართალი არიან ამხანაგები, როცა შემოაქვთ წინადადება თანამგრძნობათა ჯგუფის ლიკვიდაციის შესახებ. ჯერ-ერთი, რომ თანამგრძნობათა ჯგუფის წევრები არ სარგებლობენ უფლებებით — დაესწრონ პარტიულ დახურულ კრებებს, მონაწილეობა მიიღონ კრებებზე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში, მეორე ის, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მარტო თანამგრძნობათა ჯგუფები როდი თანაუგრძნობენ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენში თანაუგრძნობენ ყველა მშრომელნი და საჭირო აღარ არის ცალკე გვქონდეს თანამგრძნობათა ჯგუფი.

ამავე დროს შემომაქვს წინადადება პარტიის საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს ჰყავდეთ მეოთხე მდივანი, რომელიც უშუალოდ გაუწევს ხელმძღვანელობას კადრების გარყოფილებას, რაც ხელს შეუწყობს პარტიული კადრების მომზადებას და მათი განაწილების საქმეს.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების მე-16 მუხლის „ბ“ პუნქტი ეხება სრულიად-საკავშირო კონფერენციის მოწვევის ვადის განსაზღვრას. ჩემის აზრით, საჭიროა კონფერენციის მოწვევა დაწესდეს ორ წელიწადში ერთხელ.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში არაფერია ნათქვამი პირველადი პარტორგანიზაციების ანგარიშის ჩაბარებაზე. ჩემი წინადადებაა პირველადმა პარტორგანიზაციებმა ანგარიში ჩააბარონ 6 თვეში ერთხელ, ხოლო საქალაქო, სარაიონო, საოლქო, სამხარეო კონფერენციებმა და ნაკვომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა ყოველ ორ წელიწადში, რაც ამავე დროს დაკავშირებული იქნება ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებთან.

ო. ჯიბლაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲛᲐᲡᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔ